



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

დამტკიცებულია
 სტუ-ს აკადემიური საბჭოს
 2012 წლის 6 ივლისის
 № 733 დადგენილებით

მოდულიზებულია
 სტუ-ს აკადემიური საბჭოს
 2018 წლის 2 აპრილის
 № 01-05-04/95
 დადგენილებით

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის სახელწოდება

ბიზნესის ადმინისტრირება

Business Administration

ფაკულტეტი

ბიზნესტექნოლოგიები

Faculty of Business Technologies

პროგრამის ხელმძღვანელი

პროფესორი ევგენი ბარათაშვილი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი (Doctor of Business Administration)

მიენიჭება საგანმანათლებლო პროგრამის არანაკლებ 180 კრედიტის შესრულების შემთხვევაში

სწავლების ენა

ქართული

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დიპლომი. მხედველობაში მიიღება: სამეცნიერო პუბლიკაციების არსებობა; სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა; სასწავლო/კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტები და მასალები (სერტიფიკატები, სიგელები, პატენტები და ა.შ.).

გასაუბრება საფაკულტეტო დროებით კომისიასთან. დოქტორანტურაში მიღების წესი და ჩარიცხვის პირობები მოცემულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე:

http://gtu.ge/pdf/gamocxadeba_doq_2017.pdf

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველებს გამოცდა უცხოურ ენაში უტარდებათ საგამოცდო კომპიუტერულ ცენტრში ერთ-ერთ უცხო ენაზე (*ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული*).

საგამოცდო ტესტების ნიმუშები უცხო ენებში მოცემულია უნივერსიტეტის ვებ გვერდზე:

http://gtu.ge/Learning/doqt_charicxva_2017.php

პროგრამის აღწერა

პროგრამა შედგენილია ECTS სისტემით, 1 კრედიტი უდრის 25 საათს, რომელშიც იგულისხმება როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელი მუშაობის საათები. კრედიტების განაწილება წარმოდგენილია პროგრამის სასწავლო გეგმაში. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სქემა მოცემულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე:

<http://gtu.ge/Learning/pdf/danarTi2.pdf>

პროგრამა გრძელდება 3 წელი (სემესტრი) დამოიცავს 180 კრედიტს.

სასწავლო კომპონენტია - 60 კრედიტი (მათ შორის სასწავლო კომპონენტების სავალდებულო ელემენტები - 15 კრედიტი, პროგრამასთან დაკავშირებული სპეცკურსები - 15 კრედიტი, არჩევითი სასწავლო კურსი - 5 კრედიტი და თემატური სემინარები - 25 კრედიტი), კვლევითი კომპონენტები - 120 კრედიტი: კოლოქვიუმები (I, II) - 60 კრედიტი, სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და დაცვა - 60 კრედიტი.

სასწავლო პროცესი გაწერილია შემდეგი სახით: სემესტრი მოიცავს 20 კვირას, აქედან სასწავლო პროცესი მიმდინარეობს 16 კვირა, XVII კვირა ეთმობა მზადებას დასკვნითი გამოცდისათვის, XVIII-XIX კვირას ტარდება დასკვნითი გამოცდა. XX კვირა, საჭიროების შემთხვევაში, ეთმობა დამატებით გამოცდას.

პირველი სემესტრი მოიცავს სასწავლო კომპონენტების ორ სავალდებულო ელემენტს (4 და 6 კრედიტი), პროგრამასთან დაკავშირებულ სპეცკურსს (თითოეული 5 კრედიტი) და თემატურ სემინარი 1-ს - 10 კრედიტი.

მეორე სემესტრი მოიცავს სასწავლო კომპონენტების ერთ სავალდებულო ელემენტს (5 კრედიტი), პროგრამასთან დაკავშირებულ ერთ სპეცკურსს (5 კრედიტი), ერთ არჩევით სასწავლო კურსს (5 კრედიტი) და თემატურ სემინარ 2-ს - 15 კრედიტი.

მესამე სემესტრი ეთმობა საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის სავალდებულო ელემენტს: კოლოქვიუმი -1 (30 კრედიტი).

მეოთხე სემესტრი მოიცავს საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის სავალდებულო ელემენტს: კოლოქვიუმი -2 (30 კრედიტი).

მეხუთე და მეექვსე სემესტრი ეთმობა მთლიანად სადისერტაციო ნაშრომის მომზადებასა და დაცვას (60 კრედიტი).

დოქტორანტი საგანმანათლებლო პროგრამის სქემით განსაზღვრულ პერიოდში ამზადებს ორ სამეცნიერო თემატურ სემინარს. თემატური სემინარის შეფასების კრიტერიუმები მოცემულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე:

http://gtu.ge/pdf/danarTi_3_Sefasebis_wesi_2.pdf

თემატური სასემინარო ნაშრომის პრეზენტაციისათვის დეკანატი ახდენს სემინარის ორგანიზებას. სემინარზე დოქტორანტის ნაშრომს აფასებს 5-9 წევრისგან შემდგარი კომისია, რომელსაც ქმნის დეკანი აკადემიური დეპარტამენტის ხელმძღვანელის წარდგინების საფუძველზე, კომისიის შემადგენლობა მტკიცდება ფაკულტეტის ბრძანებით.

სწავლების მესამე და მეოთხე სემესტრში დოქტორანტს ევალება ორი კოლოქვიუმის მომზადება. კოლოქვიუმები ასახავს დოქტორანტის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებს. კოლოქვიუმის შეფასების კრიტერიუმები მოცემულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე:

http://gtu.ge/pdf/danarTi_3_Sefasebis_wesi_2.pdf

სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და დაცვა კვლევითი კომპონენტის ძირითადი ნაწილია. იგი

ასახავს დოქტორანტის მიერ ჩატარებული კვლევის მეცნიერულად დასაბუთებულ ახალ შედეგებს და/ან წყვეტს აქტუალურ სამეცნიერო პრობლემას. დოქტორანტი სადისერტაციო ნაშრომს წარადგენს დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი მეცნიერების დარგის 7-9 წარმომადგენლისგან შემდგარ სადისერტაციო კოლეგიაზე. შეფასების კრიტერიუმები იხილეთ:

http://gtu.ge/pdf/danarTi_3_Sefasebis_wesi_2.pdf

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება ხელმისაწვდომია მისამართზე:

http://gtu.ge/Study-Dep/Files/Pdf/doqtorantura_debuleb_2014.10.14_SD.pdf

სამეცნიერო ხელმძღვანელებისა და სადისერტაციო თემების დამტკიცების წესი მოცემულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე:

http://gtu.ge/Learning/pdf/doqtoranturis_debuleb2017.pdf

დოქტორანტის პერსონალური სამუშაო გეგმა იხილეთ:

http://gtu.ge/pdf/doqtor_deb_danarTebi2.pdf

პროგრამის მიზანი

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებების თანამედროვე მიღწევების შესწავლა და შემდგომი განვითარება; ინოვაციური კვლევისა და სწავლების მეთოდების უნარის მქონე შიდა და საერთაშორისო შრომის ბაზარზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური სპეციალისტებისა და მკვლევარების მომზადება, რომელთაც შეეძლებათ მულტიდისციპლინარულ, ინტერნაციონალურ გარემოსთან სრულად ადაპტირება და ინტეგრაცია სამეცნიერო-კვლევითი პროცესების განხორციელებისათვის, ყოველივე ზემოაღნიშნული მისცემს მათ ახლებური ცოდნის ხელახალი გააზრების, ნაწილობრივ გადაფასების და ცოდნის განახლების საშუალებას.

სწავლის შედეგები/კომპეტენტურობები (ზოგადი და დარგობრივი)

ცოდნა და გაცნობიერება

დოქტორანტს აქვს ბიზნესის გლობალურ-ინოვაციური პრობლემატიკის, მენეჯმენტში კულტურული თავისებურებების შედარების, ქვეყნების კლასტერებად დაყოფის, საქმიანი კულტურების ტიპების განსაზღვრის თანამედროვე მეთოდების, საწარმოთა კლასტერების ინტეგრაციული პროცესების, კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვის, თანამედროვე კვლევითი და ანალიტიკური მეთოდებისა და მიდგომების უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა, რაც არსებული ცოდნის გაფართოების, ინოვაციური მეთოდების გამოყენების, ბიზნეს-პროცესებში არსებული პრობლემების გადაჭრისათვის სწორი და ეფექტიანი გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების საშუალებას აძლევს (რეფერირებადი პუბლიკაციისათვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე).

დოქტორანტი აცნობიერებს გლობალურ-ინოვაციური პროცესების, საწარმოთა კლასტერების თავისებურებების, კლასტერული პოლიტიკის ბიზნესის კონკურენტუნარიანობის ამაღლების მნიშვნელობის ხელახალი გააზრებისა და ნაწილობრივ გადაფასების გზით ცოდნის განახლების არეალს.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

დოქტორანტი დამოუკიდებლად გეგმავს რეგიონის მდგრადი განვითარებისათვის დამახასიათებელი არსებული პრობლემების, კლასტერული პოლიტიკის წარმართვისათვის ინოვაციურ კვლევას და უზრუნველყოფს მასზე ზედამხედველობას; შეიმუშავებს კლასტერული ინიციატივების განხორციელების ტრანსფერული უნარებით ახლებურ კვლევით და ანალიტიკურ მეთოდებსა და მიდგომებს, რომლებიც ახალი ცოდნის შექმნაზეა ორიენტირებული და აისახება საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში.

დასკვნის უნარი

დოქტორანტი ახდენს გლობალურ-ინოვაციური ტენდეციების, რეგიონის მდგრადი განვითარების პროცესის, ბიზნესის მართვის კლასტერული პოლიტიკის შესახებ ახალი, რთული, წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკულ ანალიზს, სინთეზს და შეფასებას; ბიზნესის ადმინისტრირების სფეროს ახალი მეთოდოლოგიებისა და მეცნიერების განვითარების ხელშეწყობას; დამოუკიდებლად იღებს პრობლემის გადაჭრისათვის სწორ და ეფექტიან გადაწყვეტილებას.

კომუნიკაციის უნარი

დოქტორანტი დასაბუთებულად და გარკვევით წარმოაჩენს ახალ ცოდნას არსებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირში, შეუძლია დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება ახალი იდეების,

არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ, აქვს აუდიტორიისათვის შესაბამისი პრეზენტაციებისა და წერილობითი ინფორმაციის მომზადების და წარდგენის, საჯარო გამოსვლების წარმართვის უნარი. ასევე საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან თემატურ პოლემიკაში ჩართვა უცხოურ ენაზე.

სწავლის უნარი

ბიზნესის ადმინისტრირების თანამედროვე მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან დოქტორანტს აქვს ახალი იდეების ან პროცესების განვითარების მზაობა სწავლისა და საქმიანობის, მათ შორის, კვლევის პროცესში.

ღირებულებები

დოქტორანტი იკვლევს ღირებულებათა დამკვიდრების ახალ გზებს და შეიმუშავებს საკუთარ მეთოდებს მათ დასამკვიდრებლად.

სწავლის შედეგების მიღწევის ფორმები და მეთოდები

ლექცია სემინარი (ჯგუფში მუშაობა) პრაქტიკული ლაბორატორიული
 სამეცნიერო-თემატური სემინარი დამოუკიდებელი მუშაობა კონსულტაცია
 კვლევითი კომპონენტი დისერტაციის გაფორმება დისერტაციის დაცვა

სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლება-სწავლის მეთოდების ქვემოთ მოცემული შესაბამისი აქტივობები, რომელიც ასახულია შესაბამის სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსებში):

1. **დისკუსია/დებატები** – ინტერაქტიული სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტიურობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში და ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პედაგოგის მიერ დასმული შეკითხვებით. იგი უვითარებს სტუდენტს მსჯელობისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.
2. **თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება** – იმგვარი სწავლების სტრატეგიაა, სადაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ თვითონ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თავის თანაგუნდელს საგნის უკეთ შესწავლაში. ჯგუფის თითოეული წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს.
3. **პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)** - მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს კონკრეტულ პრობლემას.
4. **ჯგუფური (collaborative) მუშაობა** – ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფურად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალებების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ თავის მოსაზრებებს ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.
5. **შემთხვევების შესწავლა (Case study)** – აქტიური პრობლემურ-სიტუაციური ანალიზის მეთოდი, რომლის საფუძველია სწავლება კონკრეტული ამოცანების - სიტუაციების გადაჭრის გზით (ე. წ. "კეისების" ამოხსნა). სწავლების ეს მეთოდი დაფუძნებულია კონკრეტული პრაქტიკული მაგალითების (კეისების) განხილვაზე. "კეისი" წარმოადგენს ერთგვარ ინსტრუმენტს, რომელიც მიღებული თეორიული ცოდნის გამოყენების საშუალებას იძლევა პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტისათვის. თეორიისა და პრაქტიკის შეხამებით, მეთოდი ეფექტიანად აწვითარებს დასაბუთებული გადაწყვეტილებების შეზღუდულ დროში მიღების უნარს. სტუდენტებს უწვითარდებათ ანალიტიკური აზროვნება, გუნდური მუშაობის, ალტერნატიული აზრის მოსმენისა და გაგების, ალტერნატივების გათვალისწინებით განზოგადოებული გადაწყვეტილებების გამომუშავების, მოქმედებების დაგეგმვისა და მათი შედეგების პროგნოზირების უნარი.
6. **გონებრივი იერიში (Brain storming)** – პრობლემის გადაჭრის ოპერატიული მეთოდი შემოქმედებითი აქტიურობის სტიმულირების საფუძველზე. მეთოდი გულისხმობს თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული აზრის, იდეის ჩამოყალიბებისა და გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი განაპირობებს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. მეთოდის გამოყენება ეფექტიანია მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში და შედეგა რამდენიმე ძირითადი ეტაპისგან:
 - პრობლემის/საკითხის განსაზღვრა შემოქმედებითი კუთხით;

- დროის გარკვეულ მონაკვეთში საკითხის ირგვლივ მსმენელთა მიერ გამოთქმული იდეების კრიტიკის გარეშე ჩანიშვნა (ძირითადად დაფაზე);
- შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა კვლევის მიზანთან იდეის შესაბამისობის დასადგენად;
- შერჩეული იდეების შეფასება წინასწარ გასაზღვრული კრიტერიუმებით;
- გამორიცხვის გზით იმ იდეების გამორჩევა, რომლებიც ყველაზე მეტად შეესაბამება დასმულ საკითხს;
- უმაღლესი შეფასების მქონე იდეის, როგორც დასახული პრობლემის გადაჭრის საუკეთესო საშუალების გამოვლენა.

7. **დემონსტრირების მეთოდი** – ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტიანია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მოვაწოდოთ სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია როგორც მასწავლებლის, ასევე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს. დემონსტრირება შესაძლოა მარტივ სახეს ატარებდეს.
8. **ინდექციური მეთოდი** – განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისკენ.
9. **დედუქციური მეთოდი** – განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.
10. **ანალიზის მეთოდი** – გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში. ამით მარტივდება რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.
11. **სინთეზის მეთოდი** – გულისხმობს ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთლიანის დანახვის უნარის განვითარებას.
12. **ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი**. ამ მეთოდს მიეკუთვნება ლექცია, თხრობა, საუბარი და სხვ. აღნიშნულ პროცესში პედაგოგი სიტყვების საშუალებით გადასცემს, ხსნის სასწავლო მასალას, ხოლო სტუდენტები მოსმენით, დამახსოვრებითა და გააზრებით მას აქტიურად აღიქვამენ და ითვისებენ.
13. **წერითი მუშაობის მეთოდი** – რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის მოქმედებებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის ან ესეს შესრულება და სხვ.
14. **ახსნა-განმარტებითი მეთოდი** – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პედაგოგს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.
15. **ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება** – მოითხოვს პედაგოგისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.
16. **პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია** – პროექტზე მუშაობისას სტუდენტი რეალური პრობლემის გადასაჭრელად იყენებს შეძენილ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს. პროექტით სწავლება ამაღლებს სტუდენტთა მოტივაციასა და პასუხისმგებლობას. პროექტზე მუშაობა მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკული აქტივობისა და შედეგების წარმოდგენის ეტაპებს არჩეული საკითხის შესაბამისად. პროექტი განხორციელებულად ჩაითვლება, თუ მისი შედეგები თვალსაჩინოდ და დამაჯერებლად, კორექტული ფორმით არის წარმოდგენილი. იგი უნდა შესრულდეს ინდივიდუალურად; დასრულების შემდეგ პროექტი შესაძლებელია წარედგინოს ფართო აუდიტორიას.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით.

სასწავლო კომპონენტის შეფასება:

დადებითი შეფასებებია:

- (A) - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- (B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა;
- (C) - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;
- (E) - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა.

უარყოფითი შეფასებებია:

- (FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი/კომპონენტების შეფასება:

ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი;

ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;

გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;

დ) საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს;

ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;

ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო;

ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

დასაქმების სფერო

- უმაღლესი სასწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულებები;
- სამეცნიერო ორგანიზაციები;
- საკონსულტაციო და ანალიტიკური დაწესებულებები;
- საერთაშორისო ორგანიზაციები;
- მსხვილი კერძო ფირმები (იურიდიულიპირები);
- სახელმწიფო უწყებები და დაწესებულებები (სტრუქტურები).

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსით. სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება სტუდენტებისთვის შეზღუდვების გარეშე ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, კერძოდ: სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები და საკონფერენციო დარბაზები; კომპიუტერული ტექნიკითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა; კომპიუტერული კლასები, ინტერნეტი და შიდა ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკა, ლაბორატორია და სწავლის/სწავლების პროცესის ადეკვატური კომპიუტერული პროგრამები; სხვადასხვა ტექნიკური მოწყობილობები და ა.შ. საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი სახელმძღვანელო და მეთოდური ლიტერატურით. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა სტუდენტებს უზრუნველყოფს სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული სახელმძღვანელოებით, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო ლიტერატურით, აგრეთვე ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის მონაცემთაბაზით და უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებული ელექტრონული კატალოგით.

თანდართული სილაბუსების რაოდენობა: 9

პროგრამის საგნობრივი დატვირთვა

№	სასწავლო კომპონენტი	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი						
			I წელი		II წელი		III წელი		
			I	II	III	IV	V	VI	
1	სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა	არ აქვს	4						
2	კვლევის მეთოდები	არ აქვს		5					
3	სწავლების მეთოდები და განათლების მენეჯმენტი	არ აქვს	6						
სადოქტორო პროგრამასთან დაკავშირებული სპეცკურსები									
4	ეკონომიკისა და ბიზნესის გლობალურ-ინოვაციური პრობლემები	არ აქვს	5						
5	შედარებითი მენეჯმენტი	არ აქვს	5						
6	ბიზნესის მართვის კლასტერული პოლიტიკა	არ აქვს		5					
არჩევითი სასწავლო კურსები									
7	თანამედროვე ბიზნეს სტრატეგიები	არ აქვს							
8	რეგიონის მდგრადი განვითარება	არ აქვს		5					
9	კვლევა საერთაშორისო ფინანსებში	არ აქვს							
10	თემატური სემინარი -1	არ აქვს	10						
11	თემატური სემინარი -2	თემატური სემინარი -1		15					
კვლევითი კომპონენტი									
1	კოლოკვიუმი - 1	არ აქვს			30				
2	კოლოკვიუმი - 2	კოლოკვიუმი - 1				30			

3	სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და დაცვა	სავალდებულო სასწავლო და კვლევითი კომპონენტები					60
სულ წელიწადში:			60	60	60		60
სულ:			180				

სწავლის შედეგების რუკა

№	სასწავლო კომპონენტი	ცოდნა და გაცნობიერება	პრაქტიკაში გამოყენების	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
1	სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა	x	x	x	x		x
2	კვლევის მეთოდები	x	x	x			x
3	სწავლების მეთოდები და განათლების მენეჯმენტი	x	x	x	x	x	x
4	ეკონომიკისა და ბიზნესის გლობალურ-ინოვაციური პრობლემები	x	x	x	x	x	x
5	შედარებითი მენეჯმენტი	x	x	x	x		x
6	ბიზნესის მართვის კლასტერული პოლიტიკა	x	x	x	x		x
7	თანამედროვე ბიზნეს სტრატეგიები	x		x	x	x	x
8	რეგიონის მდგრადი განვითარება	x	x	x	x		x
9	კვლევა საერთაშორისო ფინანსებში	x	x	x			x
10	თემატური სემინარი -1	x	x	x	x	x	x
11	თემატური სემინარი -2	x	x	x	x	x	x
კვლევითი კომპონენტი							
1	კოლოკვიუმი - 1	x	x	x	x	x	x
2	კოლოკვიუმი - 2	x	x	x	x	x	x
3	სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და დაცვა	x	x	x	x	x	x

პროგრამის სასწავლო გეგმა

№	საგნის კოდი	სასწავლო კომპონენტი	ESTS კრედიტი/საათი	საათი							
				ლექცია	სემინარი	ჯგუფში მუშაობა	პრაქტიკული	ლაბორატორიული	მუასხემესტრული	დასკვნითი გამოცდა	დამოუკიდებელი მუშაობა
1	EDU10313G1-LS	სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა	4/100	15	15				1	1	68
2	EDU10413G1-LS	კვლევის მეთოდები	5/125	30	15				1	1	78
3	EDU10213G1-LS	სწავლების მეთოდები და განათლების მენეჯმენტი	6/150	30	30				1	2	87
4	BUA46713G1-LS	ეკონომიკისა და ბიზნესის გლობალურ-ინოვაციური პრობლემები	5/125	30	15				1	1	78
5	BUA39113G1-LS	შედარებითი მენეჯმენტი	5/125	30	15				1	1	78
6	BUA39213G1-LS	ბიზნესის მართვის კლასტერული	5/125	30	15				1	1	78

		პოლიტიკა								
7	BUA46613G1-LS	თანამედროვე ბიზნეს სტრატეგიები	5/125	30	15			1	1	78
8	BUA46813G1-LS	რეგიონის მდგრადი განვითარება	5/125	30	15			1	1	78
9	BUA25813G1-LS	კვლევა საერთაშორისო ფინანსებში	5/125	15	30			1	1	78

პროგრამის ხელმძღვანელი

ევგენი ბარათაშვილი

ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის
ხარისხის უზრუნველყოფის
სამსახურის ხელმძღვანელი

ნინო ჩიკვილაძე

ფაკულტეტის დეკანი

რუსუდან ქუთათელაძე

მიღებულია

ბიზნეს-ინჟინერინგის
ფაკულტეტის საბჭოს
სხდომაზე 04.07.2012წ.
ოქმი №5
ფაკულტეტის საბჭოს
თავმჯდომარე

შეთანხმებულია

სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან

ირმა ინაშვილი

მოდისფიცირებულია

ბიზნესტექნოლოგიების
ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე
28 მარტი 2018 წელი ოქმი №8

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე

რუსუდან ქუთათელაძე